



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000045036624417

№ ს-779

08 / დეკემბერი / 2017 წ.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის #376 დადგენილებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-6 მუხლის, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 05 დეკემბრის #03/1/718 და სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 07 დეკემბრის #7/64100 წერილების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. შეიქმნას თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ოთარი ჩხეიძე;

ბ) თავმჯდომარის მოადგილე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი ხვისტანი;

გ) კომისიის წევრები:

გ.ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თეიმურაზ ჯერვალიძე;

გ.ბ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - გოგი აბუაშვილი;

გ.გ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ანა მამაგვიშვილი;

გ.დ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თინათინ ჭიკაიძე;

გ.ე) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ ხაბეიშვილი;

გ.ვ) მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - თამაზ ფოლოდაშვილი;

გ.ზ) სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის თანამშრომელი გივი უჯარაშვილი;

2. კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

4 ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში. მის: (მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი



გიორგი კაპანაძე